კავკასიი[illegible] [illegible]ᲠᲝᲚ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲖᲝᲚᲒᲐᲓᲝᲚᲔᲑᲐ.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲐ[illegible] ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘ

ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲝᲒᲘᲡᲗᲕᲔ 14. № 16.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

ვ. რცხილაძე	სანატრელი ქვეყანა, (გარვუდის თხზულებიდან).	3
დ. ღ—ძე	ჩვენი ნაწარმოების ექსპორტი (გაზიდვა) საზღვარგარეთ..	6
	ხილის საბაზროთ გადარჩევა	9
გ. თაქთაქიშვილი.	ხეხილის გამშენებელთა საყურადღებოდ	12
ი. ახალაია..... ..	ჩინური ჭინჭარი ან რამი	14
„მოსავ“ წარმომადგენელი....	დონდონის ბაზარი.....	15

Тифлисская Публичная Библиотека Имени А. С. Пушкина

ტფილისი, 1911 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი პირებისა:—ახოშვილი ვ., ნაზღეული, ახალაია ი., ბერეკაშვილი კ., გულბაათიშვილი ვ., გვარამაძე კ., გორთმაშვილი ვ., ელილაშვილი ზ., ვაჭრიშვილი ვ., თაქთაქიშვილი გ., თოიძე გ., იოსელიანი ე., კახელიძე ს., კარბელაშვილი ელ., კარალელი ვ., მაჩაბელი ა., მღივანი დ., მჭედლიშვილი ვ., ნახუცრიშვილი გ., ონიკოვი კ., როლოვი ა., რცხილაძე ვ., რცხილაძე სტ. ვ., რცხილაძე სტ. გ., ფურცელაძე ი., ფალავანდიშვილი დ., ქუთათელაძე ი., ქათამაძე მ., ქარცივაძე ვ., უიფიანი პ., ჩივაძე გ., ცხადაძე გრ., ხუნდაძე ს., შავლიევი პ., ჯანაშვილი მ., ჯიქია ლ., კახელი მევენახე, ბემიონოვი ექიმი

რედაქცია მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომელთა საყურადღებოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზად არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შეძენა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური.**

წლიური აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით.**

განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

რედაქცია ჟურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს **გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

ჟურნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე

ელექტრო-მბეჭდავი წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანატრელი ქვეყანა*)

(**გარვუდის თხზულებიდან**)

ამერიკის შეერთებული შტატების სანეტარო მდგომარეობა შედეგია მათ მთავარ სამართველოს მოღვაწეობის, სამეურნეო სასწავლებლების ხალხზე გავლენისა და შტატებისაგან დაარსებული საცდელი მინდვრების დაუღალავი შრომისა და უანგარო მოქმედებისა. რომელია ამ სამში უფრო ძლიერი და მეტმნიშვნელოვანი, ძნელია ამისი თქმა და არც საჭიროა, რადგან მათი შეთანხმებული მოქმედებით გამოწვეული მათდამი საერთო ქება-დიდება კმარობს მათთვის.

შეიძლება მათ შესახებ ითქვას, რომ თითოეული მათგანი თავის ფარგალში ორივე დანარჩენებზე უკეთესია.

აწ არსებული შეერთებულ შტატებში ტყეებით სარგებლობა, ნიადაგების გამოკვლევა და გაუმჯობესობა, პურისა და სიმინდის ახალი ჯიშების შემუშავება, მაზარალებელ მწერთა წინააღმდეგ ბრძოლა და სხვ მხოლოდ ამ 40 წლის წინად არის შემოღებული და ესოდენ უნაკლულოა დღეს იქ.

საცდელი მინდვრები შეადგენენ მთელი ხალხის ხელშეუხებელ საკუთრებას, თუმცა მეცნიერ პირთა კერძო გამგებლობის ქვეშ არიან და არც მთავარ სამართველოსთან სპობენ თავიანთ ურთიერთშორის დამოკიდებულებას.

*) იხილე „**მოსავალი**“ № 15.

მართალია, არც ერთი მეურნის აპეკურობას არ კისრულობენ ეს საცდელი მინდვრები, მაგრამ ამავე დროს არც დახმარების აღმოჩენა ეზარებათ როცა მეურნეს ან მეურნეებს რამე გაუჭირდებათ ან არ იციან. აი სწორედ ეს დაუზარებელი დახმარება შეადგენს მათ მოქმედების ერთადერთ საფუძველს. საცდელი მინდვრების მიერ მოხდენილი ცდა-დაკვირვებანი და გამოკვლევანი, რომელნიც ამ დაწესებულებებს უხვეჭენ სახელს, ხოლო მთელ ხალხს კი მიანიჭებენ სიმდიდრესა და ბედნიერებას, ადვილად გაამდიდრებდნენ მინდვრების უფროსებსაკ და მათ თანაშემწეებსაც, თუ კი ამ გზას პირადი სარგებლობისას დაადგებოდნენ ეს მოღვაწენი. ერთ წელიწადში აიღებდნენ ესენი იმდენს, რამდენის აღებას მთელი თავიანთი სიცოცხლე ვერ მოახერხებდნენ იმ მცირედი ჯამაგირით, რომელიც მათ ეძლევათ.

მარტო ერთმა საცდელმა მინდორმა შეჰმატა თავის შტატს—**ჩრდილოეთ დაკოტს**, ათის წლის განმავლობაში ასი მილიონი მანეთით მეტი შემოსავალი—ათ-ათი მილიონი ყოველ წელიწადს—ხორბლეულ მცენარეების თესვა-მოყვანის გაუმჯობესობით.

მოგვყავს ეს როგორც ერთი მრავალთაგანი მაგალითი.

საცდელი მინდვრები ჩვეულებრივ შეკავშირებულნი არიან შტატის უნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერსიტეტთან ანუ სამეურნეო სასწავლებელთან, რომელთა შიგან მოსამსახურე პირნი განაგებენ თვით საცდელი მინდვრის საქმეებსაც.

საცდელი მინდვრების მიზანსაცა და მოქმედებასაც საუკეთესოდ განმარტავს თვით ამ დაწესებულებებისაგან შედგენილი საზოგადო გეგმა.

ამ გეგმაში შედის ორიგინალური გამოკვლევების აღსრულება; მცენარეთა და ცხოველთა ფიზიოლოგიიდან უკვე მოხდენილი ცდების გამეორება და შემოწმება; ცხოველებისა და მცენარეების სატკივარ სენთა შესწავლა და მათგან გასანთავისუფლებელი საშუალებების გამოძებნა; სასარგებლო მცენარის ქიმიური გამოკვლევა მცენარის ზრდა-განვითარების სხვადასხვა ხანაში; მორიგეობითი თესვის გამოცდა სხვადასხვა მცენარეებისა; ახალი მცენარეების გაშენება უჩვეო ჰავასა და ნიადაგში; ნიადაგების და წყლების გამოკვლევა; ბუნებრივი და ხელოვნური სასუქების ქიმიური შემოწმება; მათი ზედგავლენა სხვადასხვა მცენარეების მოსავლიანობაზე; სხვადასხვა ბალახების გამოყენება საქონლის საკვებავად; რძისა და ყველის მნიშვნელობის გამოკვლევა ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში და ადგილობრივი მიწა-წყლის და ჰავის შესაფერი ზომების შემუშავება შტატის მეურნეობის ასაღორძინებლად.

ყოველ წლისა და წლის თავს საცდელი მინდორი ჰბეჭდავს ანგარიშს თავისი წლიური მოქმედებისას. გარდა ამისა წლის განმავლობაში სამ თვეში ერთხელ დაახლოებით საჭიროებისა და შეძლებისა დაგვარად დაწესებულება იგი ჰბეჭდავს მომხდარ გამოკვლევათა შედეგებს პატარ-პატარა ბიულეტენებათ, რომელიც თითო ეკზემპლიარობით ეგზავნებათ ყველა გაზეთებს დასაბეჭდად და აგრედვე სხვადასხვა მეურნეებს თანახმად მათი სურვილისა.

ამ ბიულეტენებში მოყვანილია მრავალი პრაკ ,იკული რჩევა-დარიგება ხვნა-თესვის, საქონლის, მერძე-მეყველეობის, მევენახეობის, მებაღეობის, ერთი სიტყვით ყველა სამეურნეო დარგის მიმდევართა გამოსაყენებლად.

საცდელი მინდვრები დაუზარებლივ აძლევენ პასუხს ყოველ შემოკითხვაზე მეურნეობის შესახებ, რომელიც მოსდით მათ ათასი მხრიდან. ექვსას ათასზე მეტი ფოშტის ადრესი აქვთ ამ მინდვრებს ჩაწერილი სხვადასხვა მეურნეებისა და სამეურნეო დაწესებულებებისა მათგან მიღებულ კითხვებზე პასუხის მისაწოდებლად.

ყოველად შეუძლებელია დაახლოებით მაინც გაიზომოს ის სარგებლობა, რომელიც ამ საერთო რიცხვით სამოცს საცდელ მინდორს აქვს უკვე მოტანილი, მიუხედავად იმისა, რომ არც ისე მეტი ხანია გასული რაც ესენი არსებობენ.

საცდელი მინდორი ასწავლის მეურნეს, რომელი სამეურნეო საქმე როგორ უნდა გაკეთდეს და ან რის გაკეთებას უნდა დანებდეს თავი.

ზოგჯერ რჩევას: აი ესა და ეს არ გააკეთოო, უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე რომელიმე საქმის შესრულებას.

უზომო სარგებლობა მისცა მთელ შტატებს, მაგალითად, მარტო იმის რჩევამ რომ მეურნე არ უნდა სთესავდეს ერთდაიგივე მცენარეს ერთდაიმავე ადგილზე ყოველ წლივ, რადგან ნია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგი ამ შემთხვევაში უსათუოდ გამოიფიტება.

საცდელი მინდორი ეუბნება მეურნეს, რომ ესა და ეს მინერალური სასუქი აღარ იხმაროს, რადგან იგი საჭირო აღარ არის იმის ნიადაგისათვის, რომ მას ეხლა ერთი ათად ნაკლები ხარჯი დასჭირდება ნიადაგის გასაპოხიერებლად, რომ უფრო უკეთესი მოსავალი მიიღოს და სხვ. და სხვ.

ვისკონსინის საცდელმა მინდორმა **ბაბკოკის** მიერ გამოგონილი ცხიმის საზომავი იარაღის წყალობით რამდენიმე მილიონი მანეთი შეჰმატა მთელ ამერიკის ხალხს. არა ერთი და ორი მილიონი მანეთი მისცეს ამერიკას აგრედვე იმ საცდელმა მინდვრებმა, რომელიც პურისა და სიმინდის ჯიშის გაუმჯობესობას მისდევენ თესლის შერჩევით.

ზოგი ამ დაწესებულებათაგანი მუშაობს საქონლის სხვადასხვა ჭირისაგან განკურნებაზე, ზოგი ხეხილის ჯიშის გაუმჯობესობაზე, ურწყავ მამულების დამუშავებაზე, ზოგიც ფრინველების მოშენებაზე და სხვ.

ძნელად მოიპოვება ისეთი დარგი მეურნეობისა, რომ მის წარმატებაში წილი არ ედოთ შეერთებულ შტატების საცდელ მინდვრებსაც.

ყოველი ცდა კეთდება აქ სპეციალისტის ზედამხედველობით, რომელიც მუდამ მზად არის გაუზიაროს თავისი ცოდნა სხვებსაც.

უზომო ზარალის აცილება შეუძლიანთ ამ საცდელ მინდვრებს თავიანთი რჩევით, თუ კი დროზე მიმართეს მეურნეებმა როდესაც რომელიმე რაიონს მაზარალებელ მწერთა შემოსევა მოელის, ან საქონლის რამ სატკივარია მოსალოდნელი, ან ხორბლეულის, მცენარეების, ბოსტნეულობის, ხეხილის დაზიანებაა შესაძლო და დაგვიანება აღარ შეჰფერის დახმარებას, მაშინ ამ რაიონისაკენ პირველისავე ორთქლის მატარებლით მიეშურება სპეციალისტი, რომელიც მისვლისათანავე უხსნის ხალხს შესაფერ საშუალებას.

ზოგჯერ სენი ძნელი ამოსაცნობია იქვე ადგილობრივ და მის წინააღმდეგ წამლის სწავლება შეუძლებელი ხდება. ამისთანა შემთხვევაში სპეციალისტი ბრუნდება უკან და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, გამოძებნოს უტყუარი სახსარი მოსალოდნელი ზარალის ასაცილებლად თუ წლეობით არა საგაისოთ მაინც.

დიადი საქმე ადვილად განირჩევა უბრალო მეცნიერული გამოკვლევისაგან შემდეგი კითხვით: იძლევა საქმე იგი რამე დახმარებას თუ არა?

ყოველ ასეთ შეკითხვაზე საცდელი მინდვრის მოქმედება გვარწმუნებს, რომ იქ მომუშავენი მუშაობენ იმიტომ კი არა რომ ვინმე გააკვირვონ თავიანთი მეცნიერული გამოკვლევებით, არამედ იმიტომ რომ გამოძებნონ პრაკტიკული რამ საშუალება, რომელიც გაუადვილებს ცხოვრებას კაცსა და დედაკაცს, დიდსა და პატარას და მიანიჭებს ბედნიერებას მთელ მათ სამშობლოს.

ზოგი გამოკვლევა თხოულობს რამდენიმე წლის განუწყვეტელ შრომას; ზოგი დარიგება შედეგია ხანგრძლივი ცდისა და დაკვირვებისა, რომელსაც არ შორდებოდა მკვლევართ გონება არც დღე, არც ღამე და ბეჯითად უთვალყურებდნენ რამდენიმე კვირა, თვე, წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირად შრომის შედეგი თითქო არა ღირს ხოლმე იმ წვალებად, რომელიც გაუწევიათ, რადგან დაუსკვნავთ მხოლოდ დამტკიცება იმისი რომ ესა და ეს ასე არ შეიძლება გაკეთდეს ან ასე არ უნდა გაკეთებულიყო.

ბევრი ხანი დასჭირდება ამისათვის, თუ ცოტა, სულ ერთია, ყოველი რჩევა-დარიგება, რომელიც კი საცდელი მინდვრისაგან წარმოსდგება, უნდა იყოს ფაქტებით ნაჩვენები და არა მარტო თეორეთიული მიხვედრილობით ნაქმარი. მხოლოდ ასეთ რჩევა-დარიგებას ეძლევა ხალხის ნდობა და განხორციელება სასოფლო მეურნეობაში.

ფრიად დიდი ამაგი დადეს საცდელ მინდვრებმა თავიანთ უკვე განხორციელებული მოქმედებით, მაგრამ ამაგი იგი შედარებით იმ სარგებლობასთან, რომელსაც მომავალში გამოელის ხალხი მათგან, მაინც არაფრად ჩაითვლება ამ სანატრელ ქვეყანაში.

ვ. რცხილაძე

ჩვენი სამეურნეო ნაწარმოების ექსპორტი (გაზიდვა) საზღვარ გარეთ

იშვიათად შეხვდებით სადმე ქვეყანას, რომ ისეთი განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდეს, როგორც საქართველოს; ამასთანავე ისეთის ბუნებით და ზომიერი ჰავით იყოს დაჯილდოვებული ჩვენში ყოველნაირი მცენარეულობის გაშენება შეიძლება და თუ ცოტა შრომაც დაიხარჯა ხეხვი მოსავალიც არა იშვიათია.

გაკვრით ჩამოვთვლით ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ნაწარმოებს: პური, სიმინდი, ღომი და სხვა ხორბლეული მცენარეები; აღარებელი ბოსტნეული მცენარეები და ხილეულობა; გარდა ამისა ტროპიკული მცენარეები, როგორც მაგალითად თამბაქო, ბამბა, ჩაი, ბრინჯი, ფორთოხალი, ლიმონი და სხვ. რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. დანარჩენი სამეურნეო დარგებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის ცხვრის მატყლს და აბრეშუმის პარკს, აგრედვე ტყის მასალას.

ყოველივე ზემოდ ჩამოთვლილ ნაწარმოებს ესაჭიროება **ბაზარი,** რომ გასაღება შეიძლებოდეს. უამისოდ შეუძლებელია მეურნეობამ იხეიროს. ეს ორი ფაქტორი — **წარმოება** და **გასაღება** მჭიდროდ არიან ერთიერთმანეთთან შეკავშირებულნი და ამ დამოკიდებულების შესწავლა პირველ საჭიროებას შეადგენს მეურნესათვის. ყოველი მეურნე, თუ უნდა რომ თავის ნაშოომით ისარგებლოს, უნდა იცნობდეს ბაზარს, უნდა იცოდეს თუ სად უფრო პირიან ფასებში გაჰყიდის თავის ნაწარმოებს და სად უფრო მეტ სარგებელს ნახავს. ბაზარი ორნაირია: **შინაური** და **საზღვარგარეთელი** (სახელმწიფოს საზღვრებს გარეშე მდებარე). ჩვენი მეურნე პირველ ყოვლისა დამოკიდებულია შინაურ ბაზართან. მაგალითად როდესაც ის ღვინის გაყიდვას ფიქრობს, მისი ყურადღება მიქცეულია შინაურ ბაზარზე. შინაური ბაზარი სჭირდება მას მოსავლის გასანაღდებლად ⁄ სახელმწიფო გარდასახადების გასასტუმრებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარ გარეთის ბაზრებზე საქონელის გატანა ჩვენ მეურნეს არ ეხერხება სხვადასხვა მიზეზებისა გამო, რომლებზედაც ქვემოდ გვექნება ლაპარაკი. რასაკვირველია სახეში არა გვაქვს აბრეშუმის პარკი, რომლის მთავარი მომხმარებელი საზღვარგარეთია და კიდევ დიდხანს იქნება.

მაგრამ თუ ჩვენ მწარმოებელს ეძნელება საზღვარ გარედ საქონლის გატანა ეს კიდევ იმას არ ნიშვნავს, რომ საზღვარ გარედ არ გააქვთ საქონელი. **რაც ჩვენ მწარმოებელს არ შეუძლიან, ამას კისრულობს თითონ უცხოელი ადგილობრივი აგენტების და ჩარჩების დახმარებით.** ვინც ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას თვალყურს ადევნებს, ადვილად შეამჩნევდა უცხოელების ხშირ მსვლელობას ჩვენში. ბაქოში არსებობს გერმანული ფირმა სტუკენი და კომპანია, რომელსაც დღეს მატყლის საქმე ხელთა აქვს ჩაგდებული, დასავლეთ საქართველოში სიმინდის გაზიდვა საფრანგეთის ფირმას დრეიფუს და კომპანიას უჭირავს ხელთ, მთელი სოხუმის და შავი ზღვის ნაპირის თამბაქოს გაზიდვა საზღვარ გარედ ბერძნების ხელშია, აბრეშუმის გაზიდვასაც უმთავრესად ბერძნები ეწევიან. ამ დაბოლო დროს ჩვენ გაღატაკებულ ქვეყნიდან ურიის აგენტებმა ქალების თმის გაზიდვაც დაიწყეს და ერთ გამოზიდვაზე 30000 მანეთის ქალის თმა გაყიდეს პარიზში. ამავე ურიების ხელშია კვერცხის და ბამბის გაზიდვაც. ამას გარდა გერმანიის, საფრანგეთის და ავსტრიის საზღვაო კომპანიებს ბათუმში ჰყავთ აგენტები, რომელნიც ყოველნაირ საქონელს გზავნიან საქართველოდან და საერთოდ კავკასიიდან. როგორც ხედავთ ჩვენი ქვეყნიდან უცხოელები ეზიდებიან ჩვენ ნაწარმოებს და ჩვენ მხოლოდ ჩარჩებთან გვაქვს საქმე. ჩარჩები კი გვატყუებენ და მთელი მოგება მათ მიაქვთ. ასეთი მდგომარეობა, თუ იგი დიდხანს გაგრძელდა, ჩვენს ქვეყანას დააძაბუნებს ეკონომიურად და ამას შედეგათ ის მოჰყვება, რომ უცხოელები არამც თუ გაზიდვას, არამედ თვით წარმოებასაც დაიწყებენ ჩვენში. ეს მოვლენა უკვე მოხდა სამთა-მადნო წარმოებაში, ხე-ტყეს გატანაში. სვანეთის აუარებელ ხე-ტყეს დღეს ერთი იტალიელი ფირმა სჭრის და გააქვს ევროპაში.

უცხოელებს არ აქვთ ჯერ მოკიდებული ფეხი მეურნეობაში და უნდა ვეცადოთ, რომ აქაც არ წაგვართვან პირველობა.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან სჩანს, საზღვარგარეთ ბევრი რამ გადის ჩვენი ქვეყნიდან. **ჩვენი ცდა იმაზე უნდა იყოს მიმართული, რომ ჩვენი ქვეყნის ნაწარმოები ჩვენვე გავიტანოთ ევროპის ბაზარზე.** ამნაირად ჩამოვიცლით იმ ჩარჩებს, რომელნიც ჩვენი უვიცობით და ჩვენი სიზარმაცით მდიდრდებიან. პირდაპირი დამოკიდებულება ევროპის ბაზრებთან გარდა ეკონომიური წარმატებისა კულტურულ დაახლოებასაც მოგვანიჭებს და ამნაირად ჩვენ ერსაც ჩააბამს საერთაშორისო ფერხულში. აი სწორედ ამაშია ჩვენი ხსნა და მხოლოდ ამით შეგვიძლიან გავხდეთ სრული წლოვანი.

ვინ უნდა გაზიდოს საქონელი?

კერძო მწარმოებელმა და კოოპერაციებმა. კერძო მწარმოებლებიდან, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვირველია, მარტო მსხვილს შეუძლიან, რადგან მას საშუალება აქვს ბევრი საქონელი დაამზადოს ერთნაირი ღირსებისა. საზღვარგარეთ გასატანად სწორედ ერთნაირ ღირსების საქონლის სიბევრესა აქვს მნიშვნელობა.

დიდი მნიშვნელობა ექნებათ გაზიდვაში აგრედვე კოოპერაციებს. ასეთი ტიპის ორგანიზაციები ჩვენში აქა-იქ არსებობენ და ახლო მომავალშიაც დაარსდებიან. ასეთ კოოპერაციებს შეუძლიანთ შეისყიდონ გლეხი-მწარმოებლისაგან საქონელი, რასაკვირველია, უფრო სვინდისიერად, ვიდრე ამას ჩარჩები სჩადიან და ამნაირად გაუადვილონ წვრილ მწარმოებელსაც საქონლის გასაღება.

იმ შეეთხვევაში, როდესაც კერძო მწარმოებელს ან კოოპერაციას საკმაო თანხა აკლიათ, მათ შეუძლიანთ მიმართონ ბანკებს სესხისათვის და მოგროვილი საქონელი დაუგირაონ. ამაზე ყოველი ბანკი დათანხმდება განსაკუთრებით საჭიროა ამ შემთხვევაში ბათუმის ბანკების დახმარება, რადგან საზღვარგარეთ საქონლის გაზიდვაც ბათუმის ნავთსადგურიდან წარმოებს. ფასები საქონელზე ყოველთვის ბათუმიდან უნდა ინიშნებოდეს და საქონელიც მყიდველს ბათუმში უნდა ჩაბარდეს. ზოგიერთ შემთხვევებში საჭირო იქნება, რომ გაგზავნის ხარჯი გამყიდველმა იკისროს, რადგან ეს მყიდველს უფრო გაუადვილებს საქმეს და უფრო დაინტერესებს საქონლის ყიდვაში.

საზღვარგარეთ საქონლის გაზიდვა უფრო რთულია და ბევრ სიძნელესაც წარმოადგენს, ვიდრე შინაურული ვაჭრობა. **საჭიროა ენების ცოდნა, იმ ქვეყნების კანონების ცოდნა, სადაც საქონელი გაგაქვს, ბაზრების შესწავლა და მათი „ვალ-ყურის დევნება.** ყოველივე ეს ძნელია ცალკე მწარმოებლისათვის, განსაკუთრებით ჩვენში, სადაც არც შესაძლებელია ამ ცოდნის შეძენა და არც ბევრს აქვს ამის სურვილი.

ამისათვის „**მოსავალი**“-ს რედაქციას ეყოლება ლონდონში მუდმივი წარმომადგენელი, რომელიც დრო გამოშვებით გამოგზავნის ლონდონის და საერთოდ მთელი ევროპის ბაზრის შესახებ ცნობებს, განსაკუთრებით იმ საქონელზე, რომელიც ჩვენი ქვეყნიდან საზღვარგარეთ იგზავნება. ესევე პირი შუამავლობას გასწევს იქაურ მყიდველსა და ჩვენებურ მწარმოებლის შორის. **მსურველთ, ვისაც რაიმე საქონელი აქვთ გასასყიდი, უნდა მიმართონ „მოსავალი“-ს რედაქციას და უნდა წარუდგინონ ნიმუშები.**

ამავე ნომერში იბეჭდება ლონდონის ბაზრის ანგარიში. ასეთი ანგარიშები ყოველ ნომერში დაიბეჭდება და ამნაირად ჩვენ მეურნეს შეძლება ექნება ბაზრის მდგომარეობა გაითვალისწინოს და ჩარჩების მოტყუებას ასცდეს.

შემდეგში ვეცდებით ჩვენს მკითხველებს გავაცნოთ საზღვარგარეთთან ვაჭრობის პირობები, საქონლის ღირსება, რომელსაც ევროპის ბაზარი თხოულობს და სხვა საჭირო ცნობანი.

დ. ღ—ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუშელას. ერთხელ ნახმარი ხოკრები სჯობია მეორეთ აღარ იხმაროთ.

მუდმივი ტეხნიკური კომისია, უმორჩილესად სთხოვს ყველა მამულის პატრონებს, თუ რაიმე ნაკლს იპოვნიან ზემოჩამოთვლილ ხილის ჩაწყობა-გადარჩევის წესებში, შეატყობინონ საზოგადოების თავმჯდომარეს შემდეგის ადრესით: С.-П.-Бургская фруктовая, чайная, винная и рыбная Биржа, С.-П.-Б. — Апраксинъ дворъ, зданіе Малаго Театра.

ხეხილის გამშენებელთა საყურადღებოდ

ქართლში ხეხილის გაშენების საქმე მკვიდრ ნიადაგზე დგება.

ყველამ ხელი მოჰკიდა ამ მართლაც და ქართლისათვის დიდად სახეირო საქმეს.

სანერგეთა რიცხვი გამრავლდა.

ესენი ველარ ასდიან მუშტარს, იმოდენი მოთხოვნილებაა.

მაგალითად: ფრიდონოვის სანერგეს ამ გაზაფხულზე აღარა ჰქონდა ვაშლის ნერგები, რადგან რაც ნერგი მოეპოვებოდათ, სულ დაკვეთილი იყო.

მაგრამ ერთი ვიკითხოთ, აკმაყოფილებენ ნერგთა გამყიდავნი ყველა იმ პირობებს, რომელიც მათ მოეთხოვებათ და რაზედაც ამყარებენ ხეხილის მყიდველნი თავიანთ იმედებს?

სანერგეების მეპატრონეთა შორის დიდი ქიშპობა აოის, ყველა ცდილობს, რაც შეიძლება ბლომად დაამზადოს საქონელი. ამასთან ყურადღებას აქცევენ ასორტიმენტის სიმრავლეს და გასაყიდ მასალის ტანადობას. მაგრამ ეს არა კმარა.

ძირი ნერგისა უნდა იყოს აღმოცენებული საღ არჩეულ ძალზე მწიფე ნაყოფის თესლისაგან, თვით დამყნილი ნერგი კი საღ მსხმოიარე ხეხილის ტოტისაგან.

სანამყენე კვირტი ან ყლორტი უნდა აირჩეს დასრულებულ მსხმოიარე ხის მაღლა გარეთა ტოტებიდან აღმოსავლეთ-სამხრეთ, სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან, ესე იგი ისეთი მხრიდან, რომელსაც მზე დიდხანს დაჰყურებს.

ჩრდილოეთის მხრის ტოტი საშენებლად უვარგისია. თვით ნაყოფი ჩრდილისა ნაკლებ არის შეფერილი, სიდიდით და სილამაზითაც ნაკლებია.

ხესაც თითქმის ყოველთვის ჩდილოეთის მხარეს მსხმოიაროობა არ უვარგა. ეს ყველა მეურნემ იცის, ვინც ცოტათი მაინც დაჰკვირვებია. ტოტი, რომლიდანაც სანამყენე კვირტი უნდა აიჭრას, კარგად უნდა იყოს შემოსული.

განა ასეთ მასალიდან შემზადებულ ნერგს მიაწვდის სანერგე?

მე არა მგონია.

მარშან შემოდგომაზე ერთი სანერგე დავათვალიერე. ორლეანის რენეტის რიგში მდგარ თითო წლის ნამყენს ძირიდან ასე არშინსა და ერთ ჩარექზე ბოლოები ჰქონდა წაჭრილი.

ჩემ შეკითხვაზე მებაღემ მიპასუხა, სანამყენე კვირტებად ავიღეთ, რადგან დიდი ხეების კვირტები აღარ გვეყოვა. თვით ნერგები ტანად მშვენივრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყენენ, მაგრამ, ვეჭვობ, ასეთ კვირტებიდან აღმოცენებულ ნამყენმა დიდი ნაყოფიერობა გამოიჩინოს.

სანერგის პატრონები, მართალია, თავის კომერციულ ინტერესებს მისდევენ, მაგრამ ნუ დაავიწყდებათ, რომ ხეხილის ნერგით ვაჭრობა უბრალო ფარჩით აღებ-მიცემობა არ არის, როდესაც შეიძლება მუშტარს დაბალი საქონელი შეატყუო. უკანასკნელ შემთხვევაში ზარალს კაცი როგორც იქნება გაუძლებს, მაგრამ რა პასუხს აძლევს სანერგის პატრონი მეურნეს, რომელიც ნაყიდ ხეხილის დარგვასა და მოვლას დიდძალ შრომასა და ამაგსა სდებს, გადის ათი-თხუთმეტი წლები, და ნაყოფს კი ვერა ჰხედავს მასალის უვარგისობისა გამო.

ხეხილით ვაჭრობა ფრიად კეთილშობილური საქმეა და მოვაჭრეთ ჰმართებთ კეთილ-სინიდისიერად მოეკიდნენ ამ პატიოსან საქმეს.

ამასთან სანერგეთა პატრონები მოვალენი არიან მყიდველს გამოჰკითხონ, რომელი ადგილისათვის სურს გასაშენებელი ნერგი, მე ვგულისხმობ გამოუცდელ მეურნეთ, და იმის დაგვარად მიაწოდოს მასალა. ამისათვის ან თითონ უნდა გაუწიონ საქმეს პირდაპირი ხელმძღვანელობა, თუ რასაკვირველია შესწევთ შესაფერისი ცოდნა, ან იყოლიონ ნასწავლი გამოცდილი მებაღენი, რომლებმაც ადგილობრივი ენა კარგად იცოდნენ, რომ უცოდინარ მუშტარს რიგიანი დარიგება მისცენ.

რაც შეეხება ნერგის ჯურათა სიმრავლეს, ეს პატრონთა სურვილია. რაც დიდი ასორტიმენტი ექნებათ, მით უფრო უკეთესი, ოღონდ ხეხილის ჯურას ერთმანეთში ნუ აურევენ, რაც თითქმის ყველა სანერგეებს ხშირად მოსდით ხოლმე.

გიორგი თაქთაქიშვილი

ჩინური ჭინჭარი ან რამი

ვაზის შესაყელად საუკეთესო მასალაა რაფი, მაგრამ მის სიძვირისა გამო მეტ წილ მეურნეებს არ შეუძლიანთ რაფის შეძენა. ხშირად ვაზის მისაკვრელად და შესაყელად ხმარობენ ხის ანახადს ანუ ხარალს დაფნისას, ფურცლისას, რომელთა ხმარება გამცდენიც არის და მაზარალებელიც, რადგან მეტად ხმება და ქარის წინააღმდეგ ვერ ამაგრებს ვაზს კარგად. გარდა ამისა გამხმარი ხარალი უჭერს ნორჩ შტოებს ვაზისას და აფერხებს მის განვითარებას.

ვისაც რაფის შეძენა ეძნელება, რადგან ხარალით ვაზის შეყელვა მავნებელია, ამიტომ ურჩევ მათ ჩინური ჭინჭარი გაიჩინონ და იმითი ყელონ, რადგან იგი ღირსებით არაფრით ჩამოუვარდება რაფს და გამძლეობა კიდე თითქმის უკეთესი აქვს. ეს ჭინჭარი ან **რამი** მით არის კარგი რომ, რაკი ერთხელ დაირგვის მრავალ წლობით არ ისპობა, ძირის დაყოფით მრავლდება და თუ ნოყიერ მიწაში იქნა დარგული, წელიწადში ორჯერ მოიჭრება, რის გამო შესაყელ მასალას ბევრსაც მიიღებთ და კარგს ღირსებისაც. რამი არა ხმება და არც იმტვრევა, როგორც ლაფანის და ფურცლის ხარალი და მასთან რბილიცაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამისაგან შეიძლება ბაწარიც დაიგრიხოს, მაგარიც გამოდის.

დამუშავება რამს ასე უნდა. გადაბარეთ მიწა ნახევარ არშინზე და დარგეთ თებერვალში ჩინური ჭინჭარი წკრე და წკრე თითო არშინის სიშორეზე ერთი წკრე მეორიდან.

თუ მიწა გამოფიტულია, გააპატივეთ, რადგან მსუქან მიწაში უფრო მაღალი იზრდება, რაც საჭიროა ვაზის შემოსაწვდენად. მოიჭრება ჭინჭარი პირველად ივნისის გასულს და მეორედ ოქტომბრის დამლევს. უნდა მოიჭრას ჭინჭარი ძირში რაც შეიძლება.

მოჭრისათანავე ფოთოლი უნდა შემოაცალოთ დანით, ხარალი შემოაძროთ როგორც კანაფს და მზეზე გაფინოთ გასაშრობად. შეგიძლიანთ იხმაროთ როგორც გამშრალი ისე ნედლიც.

ჩინური ჭინჭარის შეძენა შეიძლება სახელმწიფო ბაღებში და კერძო ბაღებშიაც.

ი. ახალაია

ლონდონის ბაზარი

თამბაქო

ამა წლის **მაისში** შემოტანილი იქმნა დაუმუშავებელი თამბაქოს ფოთლები (მოგვყავს შესადარებლად უკანასკნელი სამი წლის ციფრები):

	ამერიკიდან	სხვა ქვეყნებიდან
1909 წ...	5,760,795 გირ.	879,886 გ.
1910 წ...	8,102,116 „	925,519 „
1911 წ..	6,535,390 „	756,337 „

როგორც ამ ცხრილიდან ხედავთ, ყველაზე მეტი თამბაქო ამერიკიდან შემოდის.

განსაკუთრებით ლონდონის ბაზარზე ყალიონის და სიგარების თუთუნი შემოდის. ამ უკანასკნელ 4 წელიწადში ძლიერ გავრცელდა პაპიროზების წევა. პაპიროზის თუთუნი უმთავრესად ოსმალეთიდან და საბერძნეთიდან შემოდის. ამ ჟამად პაპიროზის თამბაქოზე დიდი მოთხოვნილებაა და ფასებმაც ძლიერ აიწია.

პაპიროზის თუთუნი უნდა იყოს **ღია ფერის** და **რბილი** (რადგან მაგარი თუთუნის წევა არ უყვართ აქ), განსაკუთრებით მესამე ან მეოთხე ხარისხის თუთუნი.

ვინაიდან ოსმალეთში და საბერძნეთში კარგი მოსავალი იქნება, როგორც იუწყებიან, ამიტომ მოსალოდნელია ფასების დაკლებაც. საჭიროა ჩვენმა მწარმოებლებმა დაუჩქარონ რომ საქონელი პირიან ფასებში გასაღდეს.

მაისის დამლევს აქაურ საწყობებში დარჩენილი იყო 198,107,000 გირვანქა თამბაქო.

აპრილის დამლევს კი 200,363,000 გირვანქა.

ღორის ჯაგარი

ამ საქონელზე დიდი მოთხოვნილებაა. გაურჩეველი იხმარება სხვადასხვა მიზნისათვის. ყველაზე ძვირი კი გარჩეული ჯაგარია, განსაკუთრებით **თეთრი**.

1-ლი ხარისხის (უნდა იყოს **სქელი** და **გრძელი**) ფასობს ადგილობრივ 3 მ. 50 კ გირვანქა.

2-რე ხარისხის—1 მან. 20 კ. გირვანქა.

პირველი და მეორე ხარისხის ჯაგარი უნდა იყოს გადარჩეული და კონებათ შეკრული. წანაალმდეგ შემთხვევაში არ მიიღებენ. გარჩეული ერთი ფერისა უნდა იყოს.

ვისაც ეს საქონელი მოეპოება უნდა გამოგზავნოს „**მოსავალი**“-ს რედაქციაში თითო ხარისხის 1 გირვანქა და შეატყობინოს რამდენი ფუთი აქვს ან რამდენი ფუთის დამზადება შეუძლიან და რამდენი ხნის განმავლობაში.

ამ საქონლის გასაღება ყოველთვის შეიძლება რამდენიც უნდა იყოს. საუკეთესო საქონელი შემოდის პოლონეთიდან და ჩრდილოეთ რუსეთიდან.

თხილი

დიდი მოთხოვნილებაა თხილისა. უმთავრესად შემოდის **ოსმალეთიდან** და **ესპანიიდან**. ღირსებით ესპანიის საუკეთესოა და ფასობს ადგილობრივ $2^1/_2$ ფუთი=15 მანეთი. იგივე ესპანიის თხილი თუ ხეჭო აქვს შემოცლილი, ცარიელი გული ფასობს ადგილობრივ $2^1/_2$ ფუთი=30 მანეთი.

ოსმალეთის თხილი უფრო დაბალი ღირსებისა არის და ფასობს $2^1/_2$ ფუთი=12 მანეთი.

საინგილოში ძლიერ ბევრი თხილი მოდ-ს და საჭიროა ვისაც სურს საქონლის გასაღება გამოგზავნოს რედაქციაში 10 გირვანქა თხილი ნიმუშად. თხილის გული უნდა იყოს **დიდი** და **მაგარი**, ამასთანავე თხილი უნდა იყოს ხმელი და ერთნაირი ღირსებისა. შეიძლება აქ გასაღება **თითო ფუთის ექვს მანეთად**. ნიმუშის გამომგზავნმა უნდა შეატყობინოს რედაქციას რამდენი ფუთი აქვს გასასყიდი.

ნიგოზი

ნიგოზიც ძლიერ ბევრი საღდება. შემოდის უმეტეს ნაწილად **საფრანგეთიდან**. ფასობს ადგილობრივ **ერთი ფუთი ექვსი მანეთი** და **ათი შაური**. ჭიანი არ უნდა იყოს.

განსაკუთრებით ამ დარგს უნდა იმერეთმა მიაქციოს ყურადღება. რადგან იქ ბევრი ნიგოზი მოდის. ვისაც გასაყიდი აქვს ნიგოზ., გამოგზავნონ რედაქციაში 15 გირვანქა ნიმუშად და მოიწერონ რამდენი ფუთი აქვთ გასასყიდი.

„მოსავალი“-ს წარმომადგენელი

ლონდონი.
18/31 მკათათვე 1911 წ.

მოსავლის რედაქციაში იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

ვ. ი. რცხილაძე კრებული არითმეტიკული ამოცანებისა (მეორე ნაწილი) 50 კ.

იმისივე (თარგმანი) ქიმია პრ. როსკოსი (მეორე გამოცემა) . . . . . 30 კ.

იმისივე საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულიდგან და შვეიცარიის ძირითადი კანონები ფასი. . . . . 25 კ.

იმისივე „ბამბის თესლის მოყვანა“ (თარგმანი) . . . . . 5 კ.

რედაქ.-გამომცემელი **ვ. ი. რცხილაძე**